



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
განათლებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტი  
ამერიკისმცოდნეობის პროგრამა,

სახელმწიფო დეპარტამენტის როლის ტრანსფორმირება ძალის გამოყენებისას:  
რონალდ რეიგანის და ჯორჯ ჰ. უ. ბუშის ადმინისტრაციების შედარებითი კვლევა

გიგი წიკლაური

სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი ამერიკისმცოდნეობაში

თბილისი, 2019

სამეცნიერო  
ხელმძღვანელი:

ვასილ კაჭარავა

(სრული სახელი)

(პროფესორი, დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

(აკადემიური წოდება)

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი, გვარი და აკადემიური წოდება)

1. თამარ შიომშვილი, პროფესორი, დოქტორი

ხელმოწერა

2. ირინა ბახტაძე, პროფესორი, დოქტორი

ხელმოწერა

ოპონენტები (სახელი, გვარი და აკადემიური წოდება)

1. ცირა ჩიკვაძე, პროფესორი, დოქტორი

ხელმოწერა

2. დავით გეგეჭკორი, პროფესორი, დოქტორი

ხელმოწერა

3. ორი ზ. სოლტესი, პროფესორი, დოქტორი

ხელმოწერა

## შესავალი

ამერიკის შეერთებული შტატების რეალობაში, ამერიკის საზღვრებს მიღმა ძალის გამოყენებაზე საბოლოო გადაწყვეტილება პრეზიდენტს ეკუთვნის, რომელიც აგრეთვე მთავარსარდლის წოდების ატარებს. თანამედროვე ისტორია გვაჩვენებს, რომ მუდამ, როდესაც ასეთი არჩევანი გაკეთდა, პრეზიდენტი მისი ნდობით აღჭურვილი მრჩევლების ვიწრო წრესთან კონსულტაციას გადიოდა და აზრს ეკითხებოდა, რაც საბოლოო გადაწყვეტილებაზე სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებული ხარისხით აისახებოდა. თითქმის გამონაკლისის გარეშე, ჯგუფში შედიოდა სახელმწიფო მდივანი და ზოგჯერ სახელმწიფო დეპარტამენტის სხვა წამყვანი წევრებიც.

ჩემს კვლევაში განხილული და გაანალიზებულია რონალდ რეიგანისა და ჯორჯ ჰ. უ. ბუშის პრეზიდენტობის დროს აშშ-ის მიერ ძალის გამოყენების ხუთი შემთხვევა სახელმწიფო დეპარტამენტის წამყვანი ან მხარდამჭერი როლის წარმოსაჩენად. ყველა ეს შემთხვევა განეკუთვნება 1982-1991 წლების პერიოდს. ძალის გამოყენების ჩემს მიერ შესწავლილი შემთხვევებია: (1) აშშ-ის საზღვაო ქვეითების განთავსება ლიბანში მრავალეროვნული ძალების შემადგენლობაში 1982-1984 წწ.; (2) სამხედრო შეჭრა გრენადაზე 1983 წ.; (3) სამიზნეების დაბომბვა ლიბიაში 1986 წ.; (4) სამხედრო შეჭრა პანამაში 1989 წ.; და (5) სპარსეთის ყურის ომი 1991 წ.

ჩემი კვლევისთვის ამ შემთხვევების შერჩევის სისწორის დასადასტურებლად და გასამართლებლად, სასარგებლო იქნება საერთაშორისო ურთიერთობების/საგარეო პოლიტიკური ანალიზის (IR/FPA) გამორჩეული მკვლევარების მოსაზრების მიმოხილვა. საგარეო ურთიერთობების კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა სახელმწიფოს მიერ "ძალის გამოყენების" სხვადასხვა დონის განსაზღვრას და შესაბამისი თეორიების მორგებას. ჩემი კვლევა არ ემსახურება საგარეო ურთიერთობების კვლევების ამ ნაწილის გამდიდრებას ან ძალის გამოყენების განსხვავებული დონეებისათვის მართებული დეფინიციების შერჩევას. ამავ დროს, ვინაიდან ჩემი კვლევა ძალის გამოყენების იდეას ეფუძნება და კვლევისას გამოყენებული შემთხვევები კი ხასიათდებოდა განსხვავებული ხარისხით, მასშტაბითა და მიზნით, კონცეპტუალური სიცხადისთვის სასარგებლო იქნება ამ კონცეფციის დეფინიციების განხილვა.

ძალის გამოყენება წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტს, რომელსაც სახელმწიფოები მიმართავენ ძირითადად უკიდურეს შემთხვევაში. ძალის გამოყენების ქვეკატეგორიებში განსხვავების განხილვისას, IR/FPA-ის მკვლევართა უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებს იმ მიზნებზე, რომელთა მიღწევაც გადაწყვეტილების მიმღებებს სურს. ელიგზანდერ ჯორჯი ხაზს უსვამს განსხვავებას ტერმინ "შეკავებას", რომელიც განისაზღვრება მუქარის გამოყენების ქვეკატეგორიად "ოპონენტის იძულების მიზნით, რათა გადააფიქრებინონ ისეთი ქმედება, რომელიც ჯერ არ დაუწყია", და ტერმინ "იძულების დიპლომატიას" შორის, რომელიც გულისხმობს მუქარებისა და შეზღუდული ძალის გამოყენებას მოწინააღმდეგის იძულების მიზნით, "რათა მან არ მიაღწიოს მიზანს . . . ან უკან წაიღოს ქმედება" (George, 1971).

ჯორჯი შემდგომ განმარტავს, რომ *იძულების დიპლომატია* სულაც არ წარმოადგენს სამხედრო სტრატეგიას, არამედ იგი პოლიტიკური სტრატეგიაა, რომელიც გულისხმობს ძალის გამოყენებას "შეზღუდული, შერჩევითი ფორმით... ოპონენტის იძულების მიზნით, რათა მან გადახედოს მის გათვლებს და დათანხმდეს კონფლიქტის ურთიერთმისაღებ დასრულებას." ძალის გამოყენების კიდევ ერთ ცალკეულ ქვეკატეგორიად ჯორჯი ასახელებს "სწრაფ, გადამწყვეტ სამხედრო სტრატეგიას", რომელიც "მეტწილად გულისხმობს მუქარებს, დიპლომატიას ან დარწმუნების დახვეწილ მეთოდებს."

ბრიუს ჯენტლესონი (Jentleson, 1991) აღნიშნავს, რომ "გრენადასა (1983) და პანამაში შეჭრა ... სწრაფი, გადამწყვეტი სამხედრო სტრატეგიების უფრო ზუსტი მაგალითებია" და ასახელებს მათ "რეიგანის მმართველობის წლებიდან **იძულების დიპლომატიის** ხუთ წამყვან მაგალითს შორის . . . 1982-1984 წლებში აშშ-ის საზღვაო ქვეითთა განთავსება ლიბანში მრავალეროვანი ძალების შემადგენლობაში; [და] სამხედრო-დიპლომატიური ზეწოლა ლიბიაზე, რომელიც დასრულდა 1986 წლის საჰაერო იერიშებით. . . " პირველ ორ შემთხვევადაც, როდესაც რეიგანის სტრატეგია ცდებოდა შეკავებას, მაგრამ ჩამორჩებოდა სწრაფ, გადამწყვეტ სამხედრო სტრატეგიას. ამ თეორიული აზრის ლოგიკური გაგრძელება, ოპერაციის მიზნიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, მიგვიყვანს ქუვეითში ერაყის შეჭრაზე აშშ-ის პასუხის (1990-1991) განთავსებამდე "სწრაფი, გადამწყვეტი სამხედრო სტრატეგიის" დიაპაზონში. ამდენად, ჩემს კვლევაში განხილული ხუთი შემთხვევიდან, ორი განეკუთვნება "იძულების დიპლომატიის" კატეგორიას, სამი კი - "სწრაფი, სამხედრო სტრატეგიის" კატეგორიას და არც ერთი წარმოადგენს "შეკავების" კატეგორიას.

ჩემს კვლევაში განხილული პირველი ჰიპოთეზა გვკარნახობს, რომ ლიდერის პიროვნება და მისი ლიდერობის სტილი განაპირობებს პოლიტიკის არჩევას ან გატარებას, რაც კიდევ უფრო მძაფრად ვლინდება საგარეო პოლიტიკის სფეროში და განსაკუთრებით ძალის გამოყენების დროს. ალექს მინცი და კარლ დეროუენ ჯუნორი (DeRouen & Mintz, 2010) აკეთებენ რაციონალური (რეალისტური) და კოგნიტური ფსიქოლოგიის სკოლების მიერ საგარეო პოლიტიკის ანალიზის (FPA) სფეროში გადაწყვეტილებების მიღების მოდელების შედარებით ანალიზს.

"რაციონალური აქტორის მოდელი" (რამ) წარმოადგენს ჩემს კვლევაში ხუთივე შემთხვევისადმი მისადაგებულ თეორიას. "რამ" ძირითადად ეფუძნება საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის თეორიებს. რეალისტური პარადიგმა კი ეფუძნება შეხედულებას, რომ სახელმწიფოები, როგორც უნიტარული აქტორები მსოფლიოს ანარქიულ საერთაშორისო წყობაში, მოქმედებენ *მოგების (სარგებლის)* გასაზრდელად და *წაგების (ზარალის)* შესამცირებლად. ამ შეხედულებას ხშირად უწოდებენ იდეალურ ტიპს და ბევრი მას მიიჩნევს გადაწყვეტილების მიღების ყველაზე სასურველ მოდელად.

ამავე დროს, რამ-ს ხშირად აკრიტიკებენ მისი სუფთა ფორმით რეალურ სიტუაციებში პრაქტიკული გამოყენების შეუძლებლობის გამო; კოგნიტური მოდელებისა და სხვა სკოლების მიმდევრები ზოგადად ამტკიცებენ, რომ რაციონალური აქტორის წარმოდგენების პრაქტიკული რეალიზება ძალზედ იშვიათად ხდება. უფრო მეტიც, ამ მოდელის ოპონენტები ასაბუთებენ, რომ ადამიანის გონებას არ შეუძლია დიდი ოდენობის მრავალფეროვანი და რთული მონაცემების ზუსტი დამუშავება, განსაკუთრებით დროში შეზღუდულ გარემოში მოქმედებისას, რაც რაციონალური აქტორის მოდელის საფუძველს წარმოადგენს. კოგნიტური მოდელები, პერსპექტივების თეორია, სამთავრობო პოლიტიკა და სხვა მიდგომები თავისი არსით არ არიან ირაციონალური, მაგრამ ძირითად ეფუძნებიან ადამიანის გონების ფუნქციონირების რეალისტურ გააზრებას, "გადაწყვეტილების უმრავლესობაში შემავალი ინფორმაციის შეგროვების მაღალი ხარჯის, დროის შეზღუდვის, ბუნდოვნების, მეხსიერების პრობლემების, არასწორი აღქმის, ორგანიზაციული სტრუქტურისა და სხვა ფაქტორების" სათანადო გათვალისწინებით (DeRouen & Mintz, 2010).

ზოგიერთი აშკარა შეზღუდვა ართულებს ჩვენს მიერ მსოფლიო ლიდერების უშუალო ან მყისიერ ფსიქოლოგიურ კვლევას და ფაქტიურად შეუძლებელს ხდის მხოლოდ კოგნიტურ მოდელებზე დაფუძნებულ ანალიზს: მსოფლიოში იშვიათად თუ რომელიმე ლიდერი მოისურვებს ფსიქოლოგთან გულახდილ საუბარს. პირიქით, ისინი ხშირად ასაიდუმლოებენ

თავის ნამდვილ ემოციურ და შიდა თვისებებს. საგარეო პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილების მიღების (FPDM) თეორეტიკოსები გვთავაზობენ სხვადასხვა მეთოდოლოგიებს. ვალერი ჰადსონი (Hudson, 2014) ორ ძირითად "დისტანციურ" მეთოდოლოგიას სთავაზობს მათ, ვისაც სურს მსოფლიო ლიდერების პიროვნებისა და ხედვების შესწავლა, ეს არის **ფსიქობიოგრაფია** და **კონტენტ-ანალიზი**. ჯეიმს დევიდ ბარბერი მის ფუნდამენტურ ნაშრომში *პრეზიდენტების ბუნება* (Barber J. D., 2008) გვთავაზობს ოთხი სახეობის მოდელს და ათავსებს მსოფლიო ლიდერებს აქტიურ-პოზიტიური, პასიურ-პოზიტიური, აქტიურ-ნეგატიური და პასიურ-ნეგატიური კატეგორიების ჩარჩოში. ამ მოდელის მიხედვით, ბარბერმა პრეზიდენტი რონალდ რეიგანი მოათავსა "პასიურ-პოზიტიურ" კატეგორიაში, ხოლო პრეზიდენტი ჯორჯ ჰ. უ. ბუში კი აღწერა "აქტიურ-პოზიტიური" ლიდერის ტიპად. ბარბერისათვის, "პასიურ-პოზიტიური" ტიპის ლიდერის (რონალდ რეიგანი) თვისებებს წარმოადგენს დამორჩილება, დაბალი თვითშეფასების გადალახვა პიროვნული თვისებებით, ზედაპირული ოპტიმიზმი, რეაქცია და არა წინმსწრები მოქმედება, აგრეთვე სხვებისგან თანხმობის მიღების სურვილი.

"აქტიურ-პოზიტიური" ლიდერი (ჯორჯ ჰ. უ. ბუში), ბარბერის აზრით, არ იმართება ბნელი მოტივებით, არამედ მზადაა დაუღალავად იმუშაოს გაუმჯობესების მისაღწევად. ლიდერის ეს ტიპი ღიაა კურსის ცვლილებისადმი, როდესაც მოვლენები არ ვითარდება სწორად, რადგან მას არ ბოჭავს ხისტი იდეოლოგიური დოგმები. იგი ცდილობს მიაგნოს ისეთ პოლიტიკას, რომელიც სასურველ შედეგს გამოიღებს (Barber J. D., 2008).

სნაიდერი, ბრაკი და სეიპინი (Richard C. Snyder, 2002) გადაწყვეტილების მიმღებთა განსხვავებულ ექვს სახეობას გვთავაზობენ თითოეული კატეგორიის კონკრეტული დახასიათებით და აღნიშნავენ, რომ სია საკმაოდ დაუხვეწავი და არასრულია. გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ამ ექვს სახეობას შეადგენენ: *კომუნიკატორი, ნოვატორი, ტრადიციონალისტი, პედანტი, ძალაუფლების მოტრფიალე და კარიერის მსახური*.

ამ ტიპოლოგიის მიხედვით, შედარებით მარტივია პრეზიდენტ რეიგანისათვის პიროვნების სახეობის შეთავსება, რადგან რეიგანის ყველაზე ცნობილ პოლიტიკურ მეტსახელს "დიდი კომუნიკატორი" წარმოადგენდა და ამ ტიპის გადაწყვეტილების მიმღებისათვის სნაიდერის, ბრაკისა და სეიპინის განმარტება დიდად გვეხმარება. ლიდერის ტიპი, რომელსაც სპეციალისტების ერთმანეთთან დაკავშირების, პრობლემებისადმი ერთი შეხედვით დაპირისპირებულ მიდგომებში საერთო თვისებების განსაზღვრის და გადაწყვეტილების მიმღებთა განსხვავებული ხედვების გაერთიანებისათვის საერთო საფუძვლის გამონახვის

გამოკვეთილი უნარები აქვს, კოორდინატორი ინტელექტუალურ დონეზე, რომელიც გააზრებულად თვითჩამოყალიბებული შუამავალი და მედიატორია.

რაც შეეხება პრეზიდენტ ბუმს, მისი ერთ კონკრეტულ სახეობაში მოთავსება არ არის მარტივი ამოცანა, რადგან იგი ორი ტიპის თვისებებით ხასიათდებოდა: ტრადიციონალისტი და პედანტი, რომლებსაც შესაბამისად პრეცედენტების მატარებლად და ორგანიზაციული მენეჯერების განსახიერებად აღწერენ; პროცედურებისა და აზრის დროში გამოცდილი ჩვევების ღირებულებების დამცველი და თვითჩამოყალიბებული "რეალისტი", რომელიც აღიქვამს (ან მიიჩნევს, რომ აღიქვამს) სიტუაციის ან პრობლემის მხოლოდ მთავარ არსებით კომპონენტებს.

განსხვავებულ თეორიულ მიდგომას გვთავაზობს ჯეროლდ პოსტი (Post, 2005), რომელმაც მისი პროფესიული ცხოვრება უცხოელი ლიდერების ანალიზს მიუძღვნა. თავიდან მთავრობის მოხელის სტატუსში, შემდეგ კი უკვე გამოჩენილი პროფესორის რანგში. იგი საკუთარ მეთოდოლოგიას *ანამნეზს* უწოდებს. იგი სისტემურ მიდგომას გვთავაზობს ლიდერის ფსიქოლოგიური ანალიზისადმი. 1990 წელს ქუვეითში ერაყის შეჭრის შემდეგ, პოსტმა ჩამოაყალიბა სადამ ჰუსეინის პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური პროფილი და სადამის პიროვნებისა და პოლიტიკური ქცევის შესახებ საკუთარი ანალიზი წარმომადგენელთა პალატის ორ შესაბამის კომიტეტს მიაწოდა. პოსტის მიხედვით, ლიდერის ფსიქოლოგიური ანალიზისათვის რამდენიმე კომპონენტი უნდა იქნეს გამოკვლეული.

პირველ რიგში, ლიდერის ფსიქობიოგრაფია, რომელიც მოიცავს ლიდერის ცხოვრების ხაზის შედარებას სახელმწიფოში ან სამყაროში პარალელურად მიმდინარე მოვლენებთან, მშობლებთან და და-ძმებთან ურთიერთობას, ოჯახში პატრიარქალური ფიგურის არსებობას, ოჯახის სიმდიდრეს და სოციალურ სტატუსს, ტრავმებს ოჯახის წევრების გარდაცვალების შედეგად და ადრეული ბავშვობის როლურ მოდელებს. მეორე კომპონენტს წარმოადგენს ლიდერის პიროვნული თვისებები, მათ შორის ჯანმრთელობა, მიდრეკილებები (ალკოჰოლის ან ნარკოტიკული/მედიკამენტური ნივთიერებების მოხმარება), ინტელექტუალური შესაძლებლობები, ცოდნა და აზროვნების უნარი, ემოციური სტაბილურობა, რეაქცია კრიტიკაზე, შეტევაზე ან მარცხზე. მესამე ნაწილი უკავშირდება ლიდერის არსებით რწმენებს, ანუ მყარ შეხედულებებს სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე ან ძალაუფლების ბუნებაზე. ლიდერის თითოეული შეხედულების, მათ შორის მისი იდეოლოგიის ან პოლიტიკური ფილოსოფიის გამოკვლევა ხდება. უკანასკნელი მეოთხე კომპონენტი სწავლობს ლიდერის სტილს, მათ შორის ლიდერის მოლაპარაკების სტილს,

ორატორულ უნარებს, საზოგადოებასთან კომუნიკაციის შესაძლებლობას, კონკრეტულ სიტუაციაში შერჩეულ სტრატეგიასა და ტაქტიკას.

პერსპექტივების თეორია წარმოადგენს კიდევ ერთ სასარგებლო მულტიდისციპლინურ ინსტრუმენტს, რომელსაც მე ვიყენებ ამ კვლევაში შესწავლილი შემთხვევების გასაანალიზებლად. მისი მისადაგება შეიძლება ფაქტიურად ნებისმიერი სიტუაციის ანალიზისადმი, სადაც მაღალი ხარისხის რისკია, რომელიც უკავშირდება მოქმედი პირის წარმოდგენას (ძირითადად აქტორის სუბიექტური დამოკიდებულების საფუძველზე) მისი მდგომარეობის შესახებ წაგებასთან და მოგებასთან მიმართებაში, ამ თეორიაში საკვანძო კომპონენტია აქტორის ხედვა სტატუს-კვოს შესახებ. რა არის ათვლის წერტილი, რომლისგან დაშორებაც აფიქრებინებს აქტორს, რომ იგი წაგების ან მოგების სიბრტყეში გადავიდა. რაც უფრო მეტად თვლის აქტორი თავს წაგების სიბრტყეში გადასულად, მით მეტად მიდრეკილია იგი სარისკო ნაბიჯების გადადგმისაკენ, რაც ზოგჯერ გარეშე დამკვირვებელმა შეიძლება ჩათვალოს გაუმართლებლად და უგუნურადაც კი.

ჩემი კვლევისათვის კოგნიტური ანალიზის მიდგომების მისადაგება სასარგებლოა, მაგრამ, რადგანაც საკვანძო ელემენტს სახელმწიფო დეპარტამენტის და სახელმწიფო მდივნის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა წარმოადგენს, სამთავრობო პოლიტიკა არის ის მოდელი, რომელიც ძალიან ხშირად გვეხმარება მთავრობების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განმარტებაში. ამ მოდელის გავლენა განსაკუთრებული სიცხადით ვლინდება რეიგანის ადმინისტრაციის მიერ ძალის გამოყენების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებში: სახელმწიფო მდივნის, ჯორჯ შულცისა და თავდაცვის მდივნის, კასპარ უაინბერგერის დაპირისპირება არ წარმოადგენდა საიდუმლოს თავის დროზე, ხოლო შემდგომ წლებში კი ინტენსიურად იქნა გამოკვლეული. სამთავრობო პოლიტიკის მოდელის ერთ-ერთი დასაყრდენია მთავრობის მაღალი რანგის სხვადასხვა წევრების მიერ მოლაპარაკებების წარმოება და გარიგებებში შესვლა (bargaining), აგრეთვე ბრძოლა და კამათი (pulling and hauling). მე გამოვიკვლიე და ტესტირება გავუკეთე რეიგანისა და ბუშის ადმინისტრაციების მიერ ძალის გამოყენების შემთხვევებს.

ერთიანობაში, სამი თეორია/მოდელი: რაციონალური აქტორის მოდელი, პერსპექტივების თეორია და სამთავრობო პოლიტიკა - პრეზიდენტების თვისებებისა და ლიდერის სტილის კოგნიტურ ანალიზთან კავშირში, კარგ ჩარჩოს გვამლევს ხუთი შემთხვევის ტესტირებისათვის და ქმნის მყარ საფუძველს დასკვნების გასაკეთებლად.



## პრობლემის დასმა

სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება, მისი შედეგების ინტენსიურობით (ჩვეულებრივ მის შედეგად ხდება სახელმწიფო საზღვრების ცვლილება) და შეუქცევადი ადამიანური დანაკარგებით, რჩება სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის არსენალში არსებულ ინსტრუმენტებს შორის ყველაზე უკიდურეს ფორმად. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიის სასკოლო წიგნები ძირითადად ომსა და მშვიდობას შორის არჩევანს ეხება, ასეთი გადაწყვეტილების კანონიერება თანამედროვეობაში ხშირად ეჭვქვეშ დგება და გადაწყვეტილების მიმღებები, ძირითადად დემოკრატიულ სახელმწიფოებში ასეთ შემთხვევებზე მიმართავენ გადაწყვეტილების კოლექტიურად მიღების ფორმას, როდესაც მთავრობის საკვანძო წევრებისგან შემდგარი ვიწრო წრე მსჯელობს მათზე.

1980-იან წლებს აშშ შეხვდა, ალბათ, ყველაზე ცუდ ფორმაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ქვეყანამ განიცადა პოლიტიკური, სოციალური და საერთაშორისო რყევები. რონალდ რეიგანისა და ჯორჯ ჰ. უ. ბუშის ადმინისტრაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ძალის გამოყენების შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანი იყო რიგი მიზეზის გამო. მათ ხელი შეუწევს შემდგომ ათწლეულებში მსოფლიოს რეალობის ფორმირებას. რესპუბლიკელების ორი ადმინისტრაციის დროს ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სრული პროცესის და ამაში კონკრეტულად სახელმწიფო დეპარტამენტის როლის ანალიზი ნათელს ჰფენს ამგვარი გადაწყვეტილებების სავარაუდო სარგებელზე, როდესაც სახელმწიფო იღწვის წარსულის ტვირთისგან გათავისუფლებას და მისი პოლიტიკური მომავლის საფუძვლად ახალი პარადიგმების მოძიებას.

## მიზნის განაცხადი

წარმოდგენილი ისტორიულ – ახსნითი კვლევის მიზანია საგარეო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების შიდა პროცესის და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის და მისი ხელმძღვანელების როლის თეორიული შესწავლა რონალდ რეიგანისა და ჯორჯ ჰ. უ. ბუშის ადმინისტრაციების პერიოდში 1981 წლის იანვრიდან 1993 წლის იანვრამდე ძალის გამოყენების ძირითადი ხუთი შემთხვევის დროს.

კვლევა სწავლობს, როგორ იცვლებოდა მუდმივად სახელმწიფო დეპარტამენტის როლი ქვეყნის საზღვრებს მიღმა ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და როგორ ვარირებდა ტრადიციული დიპლომატიიდან – ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პოლიტიკის ფორმულირებაში – უშუალო მონაწილეობამდე. ამ კვლევის ძირითადი ყურადღების საგანია ომისა და

მშვიდობის საკითხებში სახელმწიფო დეპარტამენტის ცვალებადი როლი პრეზიდენტ რონალდ რეიგანისა და პრეზიდენტ ჯორჯ ჰ. ბუშის თანმიმდევრული ადმინისტრაციების პერიოდში.

### კვლევის დასმული კითხვები

(1) რა როლს თამაშობდნენ სახელმწიფო დეპარტამენტი და მისი ხელმძღვანელები გადაწყვეტილების მიღების სამ გამორჩეულ ეტაპზე (რეალური გადაწყვეტილების მიღების პროცესი; გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა, ანუ თავად სამხედრო ოპერაციის ჩატარება; და უშუალოდ ძალის გამოყენების შემდეგ) აშშ-ის მიერ უცხოეთში ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით რეიგანისა და ბუშის ადმინისტრაციების პერიოდში?

(2) როგორ იყო სახელმწიფო დეპარტამენტის ჩართულობა ძალის გამოყენების საკითხებში 1980 წლამდე?

(3) ერთგვაროვანი იყო სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელების როლი ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში რეიგანისა და ბუშის ადმინისტრაციების დროს?

### კვლევის ამოცანები

ჩემს კვლევაში პირველ რიგში ვადგენ, თუ როგორ შეიცვალა ან/და გაიზარდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის როლი ომისა და მშვიდობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში 1981 წლამდე რეალობასთან შედარებით. აგრეთვე განვსაზღვრავ, იყვნენ თუ არა სახელმწიფო მდივნები თანაბრად ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების სამივე ეტაპზე რეიგანისა და ბუშის ადმინისტრაციის დროს. ამ მიზნით, ვიკვლევ სახელმწიფო დეპარტამენტისა და სახელმწიფო მდივნის როლს მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან, როდესაც აშშ გლობალურ მოთამაშედ იქცა, რეიგანის პრეზიდენტობამდე, ხოლო შემდეგ კი ვადარებ სახელმწიფო დეპარტამენტისა და სახელმწიფო მდივნის როლს ბუშის ადმინისტრაციის პერიოდში.

### ჰიპოთეზები

31. სახელმწიფოს ლიდერის პიროვნება, გადაწყვეტილებების მიღების და ლიდერის სტილი კრიტიკულ როლს თამაშობს სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. ჩვენი კვლევისათვის შერჩეული პრეზიდენტების პიროვნებას, ფსიქოლოგიას და ლიდერის სტილს კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლი უნდა

ეთამაშა საგარეო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში ზოგადად და განსაკუთრებით ძალის გამოყენებაში.

**32.** სახელმწიფო მდივნისა და სახელმწიფო დეპარტამენტის აქტიური ინტერვენციული როლი პირდაპირ დამოკიდებულია მოქმედი პრეზიდენტის ლიდერის სტილზე. ამდენად, ჩვენი ვარაუდით, ლიდერის დელეგირების სტილი იწვევს სახელმწიფო დეპარტამენტის მეტად აქტიურ როლს, ხოლო პრეზიდენტის ლიდერის მაკონტროლებელი სტილი კი იწვევს სახელმწიფო დეპარტამენტის მეტად პასიურ როლს.

### **სიახლე და აქტუალობა**

საერთაშორისო ურთიერთობების/საგარეო პოლიტიკის ანალიზის სფეროში საქართველოში არსებითი წინსვლაა; აგრეთვე, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შესახებ პროფესორ ვასილ კაჭარავას ინტენსიური ანალიზი, განსაკუთრებით კი რიგ წიგნებში გამოქვეყნებული კვლევები რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის შესახებ მეტად სასარგებლოა ამ მხრივ. ამავე დროს, სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენებაზე გადაწყვეტილებების მიღების შესახებ კვლევები ზოგადად ან ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაზე კონკრეტულად კვლავ არსებითად იშვიათობას წარმოადგენს. ჩემს მიერ რონალდ რეიგანისა და ჯორჯ ჰ. უ. ბუშის ადმინისტრაციების მიერ ძალის გამოყენების შემთხვევების არჩევისადმი მიდგომა ეფუძნება შემდეგს:

პირველ რიგში, დღეისათვის ძალის გამოყენების ეს შემთხვევები განეკუთვნება ისტორიას და წარსულში უამრავი საიდუმლოების უმაღლესი ხარისხის მქონე დოკუმენტი და კონკრეტულ შემთხვევებზე ფაქტობრივი გადაწყვეტილების მიღების დეტალი ამჟამად განსაიდუმლოებული და გასაჯაროებულია პირველადი და მეორადი წყაროების მეშვეობით. ეს ნამდვილად შესანიშნავი რესურსია მკვლევარისათვის, რომელმაც სხვა შემთხვევაში უნდა სცადოს ოფიციალურად ხელმისაწვდომი გზებისათვის გვერდის ავლა ძირითადად მაინც არასანდო (ან არასრულად საიმედო) ალტერნატივების მოსაძიებლად სასურველი საგნის კვლევის ჩასატარებლად. მეორე, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში დაიბეჭდა რიგი თეორიული კვლევა და ანალიზი ძალის გამოყენების იმ კონკრეტულ შემთხვევებზე, რომლებიც შესწავლილია ამ დისერტაციაში, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში მკვლევარებს არ უცდიათ ამ შემთხვევების გაერთიანება „სახელდახელო კლასტერად“ და თანმიმდევრული ნაბიჯების ფორმით იმ მოვლენის წარმოჩენა, რომელიც დაიწყო ლიბანში

ტრაგიკული კატასტროფით და გრენადაში ზომიერი სამხედრო წარმატებით 1983 წელს, ხოლო დასრულდა სამხედრო ტრიუმფით სპარსეთის ყურის ომში 1991 წელს.

ძალის გამოყენების შემთხვევების ასეთი ფორმით წარმოჩინება მკითხველს აძლევს საშუალებას მიჰყევს რეიგანის ადმინისტრაციის პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებს აშშ-ის გლობალური სიძლიერის ხელახლა დასამკვიდრებლად და იმ მყიფე გზაზე მყარად შედგომას, რასაც ამერიკისათვის შემდგომში დამაჯერებელი სამხედრო გამარჯვებები მოჰყვება ბუშის ადმინისტრაციის დროს, რომელმაც გასული ათწლეულის წარმატებისა და მარცხის ანალიზის საფუძველზე შეძლო დახვეწილი მიდგომების მისადაგება გლობალური მასშტაბის პრობლემებისადმი.

### **პრობლემის მნიშვნელობა**

1980-იანი წლების დასაწყისში, სახელმწიფო დეპარტამენტი გახდა მეტად აქტიური/ინტერვენციული უცხოეთში აშშ-ის მიერ (სხვადასხვა დანიშნულებით) ძალის გამოყენებისადმი, რადგან აღმასრულებელ ხელისუფლებაში იგი საგარეო პოლიტიკაზე ორიენტირებულ ყველაზე მძლავრ უწყებას წარმოადგენდა, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან (ცსს), თავდაცვის დეპარტამენტთან, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსთან და გაერთიანებული შტაბების სარდლობასთან შედარებით. რატომ? სამხედრო უწყებებში "ვიეტნამის სინდრომმა", როგორც ჩვენ მას დღეს ვუწოდებთ, ინსტიტუციურად შეასუსტა სამხედროები და აიძულა უცხოეთში სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობაზე თავის არიდებისთვის მიემართათ; 1970-იანი წლების მეორე ნახევარში, კონგრესსა და ცსს-ს შორის კონფრონტაციამ შეზღუდა ცსს-ს ფარული სამხედრო ოპერაციების წარმოების უფლებამოსილება; ხოლო 1973 წელს მიღებულმა "სამხედრო უფლებამოსილების რეზოლუციამ" კი გარკვეულად შეზღუდა პრეზიდენტის ძალაუფლება ჩაერთო აშშ უცხოეთში წარმოებულ სამხედრო კონფლიქტებში. ყველაფერმა ამან შეზღუდა თავდაცვის დეპარტამენტისა და სადაზვერვო თანამეგობრობის შესაძლებლობა, რომ ეთამაშათ აქტიური, დამაჯერებელი როლი 1980-იანი წლების სამხედრო ინტერვენციებში.

### **პრაქტიკული და თეორიული ღირებულებები**

სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესწავლა დროის ისეთ კონკრეტულ მონაკვეთში, როდესაც იგი ცდილობს დაძლიოს წარსულის სირთულეები და ამ მიზნით იკვლევს პრეზიდენტის, დიპლომატიის, სამხედროებისა და დაზვერვის კონკრეტულ როლებს, იძლევა გარკვეული გონივრული პარალელების გავლების და სხვა

მსგავს შემთხვევებში ძალის გამოყენებასთან პარალელების გაკეთების და კავშირის გაკეთების შესაძლებლობას.

აგრეთვე, კვლევა მიზნად ისახავს საგარეო პოლიტიკის ანალიზში ძალის გამოყენების საკითხებზე არსებული სამეცნიერო ცოდნის გამდიდრებას. მიუხედავად მრავალი არსებული თეორიული კვლევისა, ამ კვლევაში შესწავლილი ყველა შემთხვევა როდი ყოფილა ინდივიდუალურად გამოკვლეული, უფრო მეტიც, არც ერთ კვლევას არ უცდია ამ შემთხვევების ერთმანეთთან ურთიერთკავშირში განხილვა.

### **კვლევის მეთოდოლოგია**

აშშ-ის ორი ადმინისტრაციის პერიოდში ძალის გამოყენების ხუთი შემთხვევის ანალიზში გამოყენებული თვისებრივი კვლევის მეთოდები მოიცავს საგარეო პოლიტიკის ანალიზის სამ მყარად ჩამოყალიბებულ და ტესტირებულ თეორიას/მეთოდს, რომლებიც ხასიათდება განმარტებითი ძალის განსხვავებული ხარისხითა და ღირებულებით თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის. რაციონალური აქტორის მოდელი ფუნდამენტურად ემყარება საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის სკოლას; პერსპექტივების თეორია თავისი არსით მულტიდისციპლინურია და მისი მისადაგება შესაძლებელია თითქმის ნებისმიერი სიტუაციისადმი, სადაც აქტორს უწევს რისკის შემცველი გადაწყვეტილების მიღება; და სამთავრობო პოლიტიკა (ან სამთავრობო პოლიტიკის მოდელი), რომელიც მტკიცედ ეფუძნება კონკრეტულ ადმინისტრაციაში ძალაუფლებისათვის ბრძოლის ანალიზს. კვლევისათვის ზოგადად სასარგებლოა პრეზიდენტის ლიდერის სხვადასხვა სტილისა და მათი დახასიათებების მოკლე აღწერილობა. განხილულია აგრეთვე იმ სახელმწიფო მდივნების ლიდერის სტილი, რომლებიც რეიგანისა და ბუშის ადმინისტრაციაში მსახურობდნენ.

### **დისერტაციის სტრუქტურა**

დისერტაცია შეიცავს შემდეგ ნაწილებს: შესავალი; ოთხი თავი; დასკვნები და რეკომენდაციები; და სამი გრაფიკი.

### **დისერტაციის შეზღუდვა**

ამ კვლევის ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო დეპარტამენტის და მისი მდივნების როლის შესწავლა ხუთი კონკრეტული შემთხვევის დროს ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას რონალდ რეიგანისა და ჯორჯ ჰ. ბუშის ადმინისტრაციების

პერიოდში განსაკუთრებული აქცენტით ასეთი მოქმედების მიმართ მათ მხარდაჭერასა და თავშეკავებაზე. კვლევა მიზნად არ ისახავს სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების კონცეფციის ფართო ახსნას, ასეთი გადაწყვეტილებების კანონიერებისა და გამართლების წარმოჩენას, თუ ასეთი არ ემსახურება წინა აბზაცში აღწერილი პროცესის ამოცანებს.

## **თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა და სახელმწიფო დეპარტამენტის როლი 1945-1981 წწ.**

### **1.1 ლიტერატურის მიმოხილვა**

ჩემს კვლევაში, ინტენსიურად ვისარგებლე როგორც პირველადი, ასევე მეორადი წყაროების დოკუმენტებით. თეორიული სიცხადის მიზნით, მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ, რას ვთვლით პირველად და მეორად წყაროს დოკუმენტად. თეორეტიკოსებს შორის არსებობს განსხვავებული ხედვა, რომელ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ესა თუ ის მონაცემი. მე მივეყვები კრისტოფერ ლამონტის მიერ შემოთავაზებულ ძალზე ჯანსაღ განსაზღვრებას, (Lamont, 2015) რომლის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობების რიგიდან თემის კვლევისას, "პირველადი წყაროს დოკუმენტს წარმოადგენს ორიგინალი საბუთი, რომლის ავტორს ჰქონდა უშუალო წვდომა მის მიერ აღწერილ ინფორმაციაზე ან პირადად იყო კონკრეტული მოვლენის მონაწილე. . . [ხოლო] მეორადი წყაროს დოკუმენტს წარმოადგენს ის საბუთი, რომელშიც გაკეთებულია პირველადი წყაროს დოკუმენტზე მითითება ან მისი ანალიზი."

### **1.2. სახელმწიფო დეპარტამენტი როგორც საგარეო პოლიტიკის აქტორი (1945-1981)**

ამ ქვეთავში განხილულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის როლი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში 1945-1981 წლებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, რამდენად აქტიური იყო სახელმწიფო დეპარტამენტი აშშ-ის მიერ უცხოეთში ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სამ ეტაპზე. ამ მიზნით გაანალიზებულია მესამე სამყაროს ქვეყნებში აშშ-ის მიერ წარმოებული რამდენიმე სამხედრო ოპერაცია სახელმწიფო დეპარტამენტისა და საგარეო პოლიტიკაზე მომუშავე სხვა უწყებების როლის დასადგენად.

### **1.3. სახელმწიფო დეპარტამენტი და აშშ-ის მიერ ძალის გამოყენება 1945-1981 წლებში**

ამ ქვეთავში მიმოხილულია აშშ-ის მიერ 1945-1981 წლებში ძალის გამოყენების სამი უმნიშვნელოვანესი შემთხვევა: კორეის ომი, დომინიკის რესპუბლიკაში შეჭრა და ვიეტნამის ომი. ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენდა ერთადერთ ქვეყანას,

რომელსაც შესწევდა უნარი დაპირისპირებოდა საბჭოთა კავშირის ექსპანსიას საერთაშორისო ასპარეზზე, ამერიკის ჩართულობა მსოფლიო საქმეებში ბუნებრივად იზრდებოდა და არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამი შემთხვევით. ამავე დროს, ეს არის ძალის გამოყენების მთავარი შემთხვევები 1945-დან 1981 წლამდე პერიოდში. ამ ქვეთავში არ არის მიმოხილული შეზღუდული მასშტაბის, სხვა ქვეყნებში რეჟიმის ცვლილების ხელშემწყობი (წარმატებული თუ წარუმატებელი) ან შიდა კონფლიქტებში რომელიმე მხარის შეიარაღების მიწოდებით, თუ სხვა მხრივ მხარდამჭერი სამხედრო ოპერაციების სხვა შემთხვევები.

## **თავი 2. პრეზიდენტ რონალდ რეიგანის საგარეო პოლიტიკა**

### **2.1 რეიგანის ადმინისტრაცია და მისი წევრები**

ამ თავში განვიხილავ რეიგანის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებების მიმღებ საკვანძო ფიგურებს, მათ შორის მათ პიროვნებებს და მართვის სტილს, ურთიერთმოქმედებას და მთლიანობაში საგარეო პოლიტიკაზე გავლენას. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის მხოლოდ ის წევრები არიან მიმოხილული, რომლებიც აღმასრულებელ ხელისუფლებაში ტრადიციულად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საგარეო პოლიტიკის ფორმულირებაში და განხორციელებაში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურებს წარმოადგენენ სახელმწიფო მდივანი, თავდაცვის მდივანი, მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი.

### **2.2. სახელმწიფო დეპარტამენტი და აშშ-ის ძალები ლიბანში, 1982-1984 წლები**

სახელმწიფო დეპარტამენტისა და მისი ხელმძღვანელობის როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და 1982 წელს პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციასა და ისრაელს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ფაქტობრივ მედიატორობაში, განსაკუთრებით აშშ-ის საზღვაო ქვეითების ლიბანში მრავალეროვნული ძალების ფარგლებში განთავსებაში და გაყვანის შემდეგ ხელახლა განთავსებაში.

### **2.3 სახელმწიფო დეპარტამენტი და აშშ-ის შეჭრა გრენადაზე, 1983 წელი**

ამ შემთხვევის კვლევისას განხილულია ამერიკის დიპლომატიის როლი გრენადაზე 1983 წლის ოქტომბერში წარმოქმნილი კრიზისის დროს. ამერიკელი დიპლომატები ყველა დონეზე წამყვან როლს თამაშობდნენ ამ მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური ოპერაციის დროს რეაგირების ძალისხმევაში. სახელმწიფო მდივანი შულცი მიიჩნევდა და აცხადებდა, რომ მთლიანად გრენადის ოპერაცია სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ წარიმართა.

## 2.4. სახელმწიფო დეპარტამენტი და ლიბიის დაბომბვა, 1986 წელი

1986 წლის აპრილში აშშ-ის საჰაერო ძალებმა ლიბიაში დაბომბეს ტერორიზმთან დაკავშირებული სამიზნეები. პრეზიდენტ რეიგანის მიერ სანქცირებული ოპერაცია "ელ დორადო კანიონი" წარმოადგენდა დასავლეთ ევროპაში ხშირ შემთხვევაში ლიბიის ლიდერის, კადაფის მიერ მხარდაჭერილ ტერორისტულ შეტევებზე საპასუხო ქმედებას. თავისი არსით ეს სამხედრო ოპერაცია საგარეო პოლიტიკის ექსპერტებისა და საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარების მიერ განიხილება როგორც შემთხვევა "იძულების დიპლომატიის" კატეგორიიდან შეზღუდული ძალის გამოყენებით, რომელიც *პოლიტიკის* და არა *რეჟიმის* ცვლილებას ისახავდა მიზნად.

## თავი 3. პრეზიდენტი ჯორჯ ჰ. ბუშის საგარეო პოლიტიკა

### 3.1 ბუშის ლიდერობა და ადმინისტრაცია

ბუშის ადმინისტრაციის განხილვისას მკვლევარები მის სულისკვეთებას და მექანიზმებს თითქმის გამონაკლისის გარეშე აღმატებულ ფორმებში ახასიათებენ. ისინი იყენებენ ტერმინებს "ერთსულოვნება", "ამხანაგური სულისკვეთება" და "მეგობრობა." ძალიან იშვიათად თუ ვნახავთ მსგავს ანალოგს აშშ-ის ნებისმიერ სხვა ადმინისტრაციაში, სადაც უაღრესად მცირე იყო „გაჟონვა“ და ადმინისტრაციის წევრებს შორის საკუთარი პოზიციების დაცვა კოლეგა-ოპონენტების კონკურენციის პირისპირ პირადი შეუთავსებლობით ან უწყებრივი დაპირისპირებით გამოწვეული ბრძოლების დროს.

### 3.2 პანამაში შეჭრა, 1989 წელი

პანამის მიერ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროიდან, ცენტრალური ამერიკის ეს პატარა სახელმწიფო აშშ-ის სასიცოცხლო ინტერესებში შედიოდა, ძირითადად არხის გამო, რომლის მშენებლობა 1914 წელს დასრულდა და მას შემდეგ ამერიკის მართვის ქვეშ იყო. 1980-იანი წლების შუა პერიოდში წარსულში აშშ-ის სადაზვერვო უწყებების ბალანსზე მყოფი დიქტატორი ნორიეგა სასარგებლო აქტივიდან თავსატეხად იქცა. იგი რეგულარულად არღვევდა ადამიანის უფლებებს და მონაწილეობდა ნარკოტიკებით ვაჭრობაში, რაც სამხრეთ ფლორიდის ფედერალური სასამართლოს მიერ მისი დაუსწრებლად გასამართლებით დასრულდა. პრეზიდენტი რეიგანი დიპლომატიური ხერხებით ცდილობდა პანამის დიქტატორის ჩამოცილებას. სიტუაცია შეიცვალა პრეზიდენტ ჯორჯ ჰ. ბუშის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ; მისი ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება პანამაში ფარული ოპერაციების დაფინანსება და 1989 წლის მაისში ნორიეგას ოპონენტების



ფინანსური მხარდაჭერა გახდა. ალტერნატიული ვარიანტების მარცხის მწარე რეალობის წინაშე დადგომის შემდეგ, 1989 წლის დეკემბერში პრეზიდენტმა ბუშმა პანამაში სრულმასშტაბიანი შეჭრის გადაწყვეტილება მიიღო, რაც ნორიეგას დაპატიმრებით დასრულდა.

### **3.3 სპარსეთის ყურის ომი, 1991 წელი**

როდესაც 1990 წლის 2 აგვისტოს ერაყის ძალები მოულოდნელად ქუვეითში შევიდნენ და დედაქალაქი დაიკავეს, მომდევნო დღეს სრული შემადგენლობით გამართულ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე ბუშის ადმინისტრაციამ რეაგირების მთელი რიგი პოტენციური ქმედების ვარიანტები განიხილა. კოლინ პაუელმა ეს შეკრება შეაფასა "გათიშულად და ყურადღებაგაფანტულად", კონკრეტული გადაწყვეტილებების გარეშე, როგორ უნდა მომხდარიყო კრიზისთან გამკლავება. ამავე დროს, ბუშის ადმინისტრაციამ სამნაბიჯიანი მოგვარების გეგმა შეიმუშავა, მათ შორის დიპლომატიური ზეწოლა, რომელსაც გაეროს მექანიზმების მეშვეობით ეკონომიკური ზეწოლა მოჰყვებოდა და საბოლოოდ აშშ-ის სამხედროების რაოდენობის ზრდა სპარსეთის ყურეში. სანქციებმა სასურველი შედეგი არ გამოიღო და ბუშის ადმინისტრაციამ მიმართა მრავალმხრივ მიდგომას. მდივანი ბეიკერი ჩაერთო ამერიკის ქმედების მხარდამჭერი მაქსიმალურად ფართო საერთაშორისო კოალიციის შექმნის შრომატევადი ამოცანის შესრულებაში. სამხედრო მოქმედება 1991 წლის იანვარში დაიწყო და აშშ-ის მეთაურობით კოალიციის ძალების ტრიუმფალური წარმატებით და ქუვეითის გათავისუფლებით დასრულდა.

## **თავი 4. მეთოდოლოგია**

### **არჩეული თეორიული ინსტრუმენტები**

ზოგიერთი მკვლევარი საგარეო პოლიტიკის ანალიზს (FPA) განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობების (IR) სტრუქტურაში შემავალ არსებით ქვედისციპლინად. ისინიც კი, ვინც საგარეო პოლიტიკის ანალიზს მიიჩნევენ საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურულ კომპონენტად, ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ მას უნიკალური ადგილი უკავია საერთაშორისო ურთიერთობების მთლიან სტრუქტურაში საკუთარი გამორჩეული ნიშანთვისებების კომპლექტით. ამ ხედვის მომხრეა ბიჩი, რომელიც მიიჩნევს, რომ "საგარეო პოლიტიკის ანალიზს საერთაშორისო ურთიერთობების ფართო მეცნიერებისაგან განასხვავებს ასახსნელი ფენომენის მასშტაბი." (Beach, 2012, p. 3) ეს მეცნიერები თვლიან, რომ, მართალია, საერთაშორისო ურთიერთობები ფარავს სახელმწიფოების კონკრეტულ

ქმედებებს, მის მიერ შესწავლილი მოვლენების დიაპაზონი და მასშტაბი მეტად ფართოა და ყურადღების საგანს წარმოადგენს საერთაშორისო სისტემის წყობა. ეს მეცნიერები არ გამორიცხავენ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული ინსტრუმენტების გამოყენებას "საგარეო პოლიტიკის კონკრეტული ასპექტების" ანალიზისათვის"(Beach, 2012, p. 5).


საწინააღმდეგო ხედვის არის მეცნიერთა მეორე ჯგუფი, რომელიც ემხრობა მოსაზრებას, რომ საგარეო პოლიტიკის ანალიზი ცალკეული აკადემიური დისციპლინაა; ისინი ემხრობიან მის მეტად ავტონომიურ როლს საგარეო ურთიერთობების მეცნიერების ფარგლებში. რიჩარდ სნაიდერის ფუნდამენტურ ნაშრომში "საგარეო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება", (Snyder, 2002) რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებაში საგარეო პოლიტიკის ანალიზის ქვედისციპლინას, მოცემული შეხედულებები შემდგომ განავრცო ჰადსონმა და საგარეო პოლიტიკის ანალიზის თეორიების ძირითადი განსხვავება დაუკავშირა *აქტორზე ორიენტირებულ* მიდგომას საპირისპიროდ საგარეო ურთიერთობების თეორიებში გამოყენებული *აქტორისადმი ნეიტრალური* დამოკიდებულებისა. ჰადსონი ამტკიცებს, რომ საგარეო პოლიტიკის ანალიზი უფრო მეტად, ვიდრე საგარეო ურთიერთობების თეორიები, ხასიათდება ორი ნიშნით: *მრავალ-ფაქტორული* და *მრავალ-დონიანი* მიდგომები, როდესაც საგარეო პოლიტიკის ანალიტიკოსი იყენებს კონცეფციებს უამრავი ისეთი სხვა ინტელექტუალური დისციპლინიდან, როგორცაა ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ორგანიზაციული ქცევა, ანთროპოლოგია, ეკონომიკა და სხვები, საგარეო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ასახსნელად, რაც საგარეო პოლიტიკის ანალიზის მესამე მახასიათებლად მის *მულტი-/ინტერ-დისციპლინურ* ბუნებას აქცევს.

ჩემი კვლევის ხასიათიდან გამომდინარე, თეორიული ინსტრუმენტების შერჩევა აგრეთვე ემყარებოდა IR/FPA-ს განსხვავებული თეორიების ანალიზის დონეებს. IR-ის გამოკვეთილი თეორიები, როგორცაა რეალიზმი, ლიბერალიზმი, კონსტრუქტივიზმი და მათი განაყოფები კონცენტრირდებიან სისტემის დონეზე და ნაკლებად სახელმწიფოს დონეზე, მაშინ როდესაც FPA-ს თეორიების ძირითადი ყურადღების საგანია *სახელმწიფოს დონისა* და *ინდივიდუალური დონის* ანალიზი. არსებითად, მხოლოდ FPA თეორიები ეხება გადაწყვეტილების მიღების საკითხებს, ამდენად ამან განაპირობა ჩემს მიერ თეორიული ბაზის არჩევა.

IR/FPA-ს მეცნიერები განასხვავებენ ამ დარგში თეორიების ორ ოჯახს: *ახსნით თეორიებს* და *ანალიტიკურ მოდელებს*. თეორიული ინსტრუმენტების მეშვეობით ახსნითი თეორიები

განზოგადებულ ფენომენებს სწავლობენ და ძირითადად თეორიებზე ორიენტირებული არიან, ხოლო ანალიტიკური მოდელები ცდილობენ შემთხვევებში გარკვევას და მთლიანობაში შემთხვევებზე ორიენტირებული არიან. ონტოლოგიურად, ახსნითი თეორიები ემყარებიან ნეოპოზიტივიზმს და კრიტიკულ რეალიზმს, ხოლო ანალიტიკური მოდელები ანალიტიციზმის და ინტერპრეტაციული ტრადიციების გაგრძელებაა (Beach, 2012, p. 9). რამდენადაც ჩემი კვლევა მტკიცედ ეფუძნება შემთხვევების შესწავლას, გასაგებია, რატომ ავირჩიე ანალიტიკური მოდელები, რომლებიც გამოვიყენე პრაგმატული ფორმით ინსტრუმენტების სახით განხილული შემთხვევების უკეთ გასაგებად და ლოგიკურად ტესტირებადი დასკვნების გასაკეთებლად.

ბიჩი მიიჩნევს, რომ IR/FPA კვლევაში "თეორიული ინსტრუმენტები სტრუქტურირებულია საგარეო პოლიტიკის ანალიზთან დაკავშირებული სამი გამოკვეთილი ანალიტიკური შეკითხვის გარშემო: (1) რა სურთ სახელმწიფოებს? (2) როგორ იღებენ სახელმწიფოები გადაწყვეტილებებს საგარეო პოლიტიკის შესახებ (ანუ, გადაწყვეტილების მიღება)? და (3) რას აკეთებენ სახელმწიფოები? (Beach, 2012, p. 12).



**ნახ. 1: საგარეო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.**

ჩემს კვლევაში საკვანძო ამოცანას წარმოადგენს მეორე კომპონენტის მეორე ფაზაზე პასუხის გაცემა, თუმცა შევეცადე ამეწერა პირველი და მესამე ანალიტიკური კითხვების რეალობებიც, აგრეთვე ამეწერა მეორე კომპონენტის პირველი ფაზაც, რომლების ტესტირება ჩემს კვლევაში არ გაკეთებულა თეორიული ინსტრუმენტების მისადაგებით, არამედ გათვალისწინებულია შემდეგის წარმოსაჩენად: (ა) რეალური სივრცე, რომელშიც გადაწყვეტილების მიმღებებს უწევთ ოპერირება, და (ბ) გადაწყვეტილების მიღების პროცესის რეალური შედეგები.

მინცი და დეროუენი გამოყოფენ FPDM პროცესზე ზემოქმედ შემდეგ ოთხ ფაქტორს: (1) გადაწყვეტილების გარემო, (2) ფსიქოლოგიური ფაქტორები, (3) საერთაშორისო ფაქტორები, და (4) შიდა ფაქტორები. ისინი გვთავაზობენ, რომ FPDM პროცესი შედგება შემდეგი ოთხი

კომპონენტისაგან, ანუ სამოქმედო ნაბიჯებისაგან: (1) გადაწყვეტილების პრობლემის განსაზღვრა; (2) ალტერნატივების მოძიება; (3) ალტერნატივის შერჩევა; და (4) ალტერნატივის განხორციელება (DeRouen & Mintz, 2010, p. 4). კვლავ, ჩემს კვლევაში გამოვიკვლიე და გავითვალისწინე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზემოქმედი ოთხივე ფაქტორი და წარმოვადგინე პირველი, მეორე და მესამე კომპონენტები, თუმცა ყურადღების ცენტრში მესამე კომპონენტია: *ალტერნატივის შერჩევა* სახელმწიფო დეპარტამენტისა და მისი ხელმძღვანელობის ჩართულობის კონტექსტში.

თითოეული შესწავლილი შემთხვევის კონკრეტული დეტალების ანალიზისათვის, ნარატიული ფორმით გადმოვცემ პროცესებს, რომლებმაც გამოიწვია საგარეო პოლიტიკის კრიტიკული გადაწყვეტილების მიღების საჭიროება *პირველადი და მეორადი წყაროების* საფუძველზე; აღვწერ გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რამდენადაც ხელმისაწვდომი რესურსები იძლევა ამის საშუალებას; აღვწერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგს; და ბოლოს, ვუსადაგებ კონკურენტულ FPDM თეორიებს, რომლებიც გამოსადეგია გადაწყვეტილებებისა და შემდგომი ქმედების ასახსნელად. იმისათვის, რომ შემენარჩუნებინა სახელმწიფო დეპარტამენტის პროცესებში მონაწილეობის გამოკვლევის ცენტრალური მიმართულება და თავი ამერიდებინა დასახული ჩარჩოდან გასვლისათვის. მოცემული შემთხვევების ანალიზისა და ახსნისათვის ინსტრუმენტებად ავირჩიე რაციონალური აქტორის მოდელი, პერსპექტივების თეორია და სამთავრობო პოლიტიკის მოდელი. ქვემოთ აღწერილია ეს თეორიები/მოდელები და განხილულია თითოეულის შედარებითი უპირატესობა და ნაკლოვანება, აგრეთვე მათი სარგებელი ამ კვლევაში გაანალიზებული ინდივიდუალური შემთხვევებისათვის. მოკლედ აღვწერ თითოეულ ზემოაღნიშნულ თეორიას და დავიცავ ჩემს თეზისში მათი ინსტრუმენტად არჩევას.


#### 4.1 რაციონალური აქტორის მოდელი

**რაციონალური აქტორის მოდელი (რამ)** წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთ საყრდენს. იგი "აღწერს სახელმწიფოებს უნიტარულ აქტორებად, რომლებსაც უწევთ ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში მოლაპარაკებების წარმოება და საკუთარი უსაფრთხოების მუდმივი შეფასება მოწინააღმდეგეებთან და სხვა საფრთხეებთან შედარებით, ამავდროულად საკუთარი მიზნების მაქსიმუმამდე ზრდით" (Mintz & DeRouen, 2010, p. 60).

რამდენადაც თავად მოდელის სახელი გვეუბნება, მოსალოდნელია, რომ საგარეო პოლიტიკის აქტორები *რაციონალურები* არიან, აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნების

ნაკრები, ამუშავებენ *ხელმისაწვდომ* ინფორმაციას, წონიან არჩევანის ვარიანტებს *გაანგარიშებული* ფორმით და ირჩევენ ისეთს, რომელიც საბოლოოდ მიიყვანთ *სასურველ* შედეგამდე (ანუ, მიზნის მიღწევა). ამდენად, რამ-ის მოსაზრებას რომ გავყვეთ, საგარეო პოლიტიკის აქტორის ამოცანაა *სარგებლის მაქსიმუმამდე ზრდა ხარჯის მინიმუმამდე შემცირებით*. ელისონი, რომელმაც რაციონალური ქმედების კონცეფცია მიუსადაგა საგარეო პოლიტიკის საკითხებში გადაწყვეტილების მიღებას, ხაზს უსვამს, რომ მისი საფუძველი ეკონომიკაშია, სადაც "რაციონალურობა ეხება თანმიმდევრულ, ღირებულების მაქსიმუმამდე ზრდის არჩევანს განსაზღვრული შეზღუდვებით", რაც თეორეტიკოსს აძლევს საშუალებას, მოახდინოს გადაწყვეტილების მიმღების ქმედების პროგნოზირება. ამ მიზნის მიღწევისათვის, იგი "(1) გაიანგარიშებს გადაწყვეტილების მიმღების მიერ მისი მიზნის მიღწევის ყველაზე გონივრულ საშუალებას, და (2) აკეთებს დაშვებას, რომ ეს საშუალება იქნება საბოლოოდ არჩეული, რადგან გადაწყვეტილების მიმღები რაციონალურია" (Allison, *Essence of Decision: Explaining the Cuban Missile Crisis*, 1971, p. 30).

რამ-ის კონცეფციის ბირთვს წარმოადგენს *სარგებლის ფუნქცია*, ანუ ის, რის მიღწევას ცდილობს საგარეო პოლიტიკის აქტორი. ელისონის ფუნდამენტური ნაშრომის საფუძველზე, ბიჩი გვთავაზობს სარგებლის ფუნქციის გარკვეულ მაგალითებს: *გადარჩენა, ძალაუფლების მაქსიმუმამდე ზრდა და საფრთხის მინიმუმამდე დაყვანა*. მისი მიხედვით, "რაციონალური აქტორის მოდელი არ ნიშნავს, რომ რადგან გადაწყვეტილების მიღების პროცესი "რაციონალურია", მიიღწევა *ოპტიმალური* შედეგები მიზნებთან მიმართებაში" და "ხშირად საუკეთესო განზრახვით გადადგმული საგარეო პოლიტიკური ნაბიჯები ნავარაუდევისგან სრულიად საპირისპირო შედეგებს იძლევა" (Beach, 2012, p. 101).



**ნახ. 2** სარგებლის ფუნქცია რამ-ში

საგარეო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ანალიზისათვის, რამ წარმოადგენს "უსახურ მოდელს, ისეთს, რომელიც შავ ყუთში ათავსებს ყველაფერს, რაც სახელმწიფოში ხდება, და ყველა სახელმწიფოს ეპყრობა უნიტარულ აქტორად, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს რაციონალური არჩევანის ფარგლებში" (Yetiv, *Explaining Foreign Policy: U.S. Decision-Making and the Persian Gulf War*, 2004, p. 30). ამ კვლევისათვის რამ-ის ამკარა შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ იგი არ იძლევა საშუალებას განვსაზღვროთ და გამოვიკვლიოთ უნიტარული სახელმწიფოს ფარგლებში პიროვნებების ან ინსტიტუტების (ანუ სახელმწიფო დეპარტამენტის და სახელმწიფო მდივნების) ალტერნატივები ან ქმედებები. იგი არ გვაძლევს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული მხარეების განსხვავებული შეხედულებების წარმოჩინების ჩარჩოს. ეს ამკარა ნაკლოვანებაა, რომელიც აიძულებს მკვლევარს, პროცესი მხოლოდ ერთი ხმით მოსაუბრე ერთიანი აქტორის პრიზმიდან შეისწავლოს. ამდენად, ამ კვლევისათვის რამ მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს დასმულ შეკითხვებს და ამოწმებს შემოთავაზებულ ჰიპოთეზებს.


#### 4.2. პერსპექტივების თეორია

მოვლენების ანალიზისათვის ჩემს კვლევაში გამოყენებულ მეორე კონცეფციას წარმოადგენს პერსპექტივების თეორია. კანემანმა და ტვერსკიმ პერსპექტივების თეორია 1979 წელს ეკონომიკური მოდელის საფუძველზე წარმოადგინეს და გაგვაცნეს როგორც "რისკის პირობებში გაკეთებული არჩევანის ალტერნატიული ანგარიში" (Kahneman, 1979, p. 263). მართალია, მომდევნო წლებში პერსპექტივების თეორიის არსი სხვა მეცნიერებმა განავრცეს, მაგრამ მისი ფუნდამენტური საფუძველი უცვლელი დარჩა - ადამიანის გონება არ ოპერირებს სრულად რაციონალურ სიბრტყეში, არამედ მოგებას და წაგებას აღიქვამს სტატუს-კვოდ მიჩნეულ ათვლის წერტილთან მიხედვით, რომელიც არ შეიძლება იყოს სტატიკური, მუდმივად იქნება სუბიექტური და ტრანსფორმირებადი აქტორის მიერ მანამდე გადადგმული ნაბიჯების შესაბამისად.

რამ-იდან პერსპექტივების თეორიის ერთ-ერთი მთავარი დევიაცია არის "კონკრეტულ მოვლენებთან და არა განცხადებულ ალბათობასთან მიხედვით გადაწყვეტილების აწონვაში" (Kahneman, 1979, p. 288). ბიჩს მოჰყავს მაგალითი აზარტული მოთამაშის ცხოვრებიდან, პერსპექტივების თეორიის მოქმედებაში სადემონსტრაციოდ. იგი აცხადებს, რომ აზარტული მოთამაშე დიდ რისკზე წავა წაგებული თანხის დასაბრუნებლად, მაგრამ ფრთხილი იქნება, თუ დიდი თანხა აქვს მოგებული. ბიჩის მიხედვით, "მოგებისა და წაგების განსხვავებულად შეფასებისას, აქტორები რისკიანი ქმედებისკენ არ არიან განწყობილნი, თუ მოგებაში არიან,

მაგრამ რისკის მეტი მიმდებლობა აქვთ, როდესაც წაგებაში არიან. წაგების თავიდან აცილებას შედეგად მოჰყვება რისკიანი ქმედება, რომელიც ხშირად კონტრპროდუქტიულია და ისედაც ცუდ ვითარებას კიდევ უფრო აუარესებს.“ (Beach, 2012, pp. 121-122).

კანემანი და ტვერსკი გვთავაზობენ, რომ ღირებულების ფუნქცია (i) განისაზღვრება ათვლის წერტილიდან დევიაციით; (ii) მოგებისას ფუნქცია ძირითადად მრუდეა; (3) წაგებისას კი მოგებასთან შედარებით დახრა უფრო სწორხაზოვანია. ავტორებმა გრაფიკის ფორმით წარმოადგინეს ღირებულების ფუნქცია, რომელიც აკმაყოფილებს ამ მახასიათებლებს, სადაც S-ფორმის ღირებულების ფუნქცია ყველაზე მეტად დახრილია ათვლის წერტილში (Kahneman, 1979, p. 279).



*ნახ. 3 კანემანის და ტვერსკის ჰიპოთეტური ღირებულების ფუნქცია*

საგარეო პოლიტიკის შესახებ სახელმწიფოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პერსპექტივების თეორიის პრიზმით ანალიზის ან თუნდაც პროგნოზირების დროს, უნდა დავადგინოთ, წარმოსახვით სტატუს-კვოსთან მიმართებაში კონკრეტული სახელმწიფო თავს აღიქვამს წაგების თუ მოგების სიბრტყეში. პერსპექტივების თეორიის სტრუქტურა გვებმარება სახელმწიფოების მიერ წლების ან თუნდაც ათწლეულების განმავლობაში მარცხისათვის განწირული პოლიტიკის წარმართვის ახსნაში. ამის ნათელი მაგალითია ომი ვიეტნამში, სადაც აშშ-ის სხვადასხვა ადმინისტრაციები უარს ამბობდნენ რეგიონში ახალი სტატუს-კვოს მიღებაზე და სულ მეტად ერთვებოდნენ რისკის შემცველ ქცევაში, მეტი ძალებისა და მატერიალური რესურსების ჩართვით ზარალის ანაზღაურების ფუჭი

მცდელობისას. ეს სრულიად ეწინააღმდეგება და ვერ აიხსნება რაციონალური აქტორი მოდელის გამოყენებით.

ლევინი გვთავაზობს შეკითხვების ნაკრებს არჩევანის, ანუ მიღებული გადაწყვეტილების, ახსნაში გამოსაყენებლად პერსპექტივების თეორიის ჭრილში, სადაც ანალიტიკოსმა უნდა დაადგინოს აქტორის მიერ (1) ათვლის წერტილის განსაზღვრა, (2) არსებული ვარიანტების დადგენა, და შეაფასოს (3) ღირებულება და (4) თითოეული შედეგის ალბათობა. საწყისი ფაზა (**რედაქტირების ფაზა ჩარჩოს ეფექტით**) კრიტიკულია პერსპექტივების თეორიის მისადაგებისათვის, რადგან იგი გვებმარება აქტორის მიერ ათვლის წერტილთან მიმართებაში აქტორისეული აღქმით წაგებისა და მოგების სიბრტყეების მკაფიო გარჩევის დანახვაში. ამის შემდეგ ანალიტიკოსი ახდენს (5) ამ სუბიექტური ალბათობების მოდიფიცირებას სათანადო ალბათობის შეწონვის ფუნქციით და, საბოლოოდ, (6) წარმოადგენს, რომ შერჩეული პერსპექტივის ან ვარიანტი შედეგად მიღებული ღირებულება აჭარბებს ალტერნატიული პერსპექტივების ღირებულებას (**შეფასების ფაზა**). ამ კონცეფციის სირთულის ასახვისას, ლევინი აზრით, "ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ეს საკმაოდ მომთხოვნი ამოცანებს წარმოადგენს, რადგან ურთულესია სარგებლის, მოსალოდნელი ალბათობისა და სხვა ცვლადების ემპირიული გაზომვა." იგი აგრეთვე მიუთითებს (და ამით კიდევ უფრო ზრდის თეორიის ბუნდოვანებას, რომლის არაერთგზის ტესტირება ლაბორატორიის კონტროლირებად გარემოში ხდებოდა), რომ "თითოეული შედეგის ალბათობა არ არის მოცემული, მაგრამ იგი უნდა შეფასდეს გადაწყვეტილების მიმღების მიერ. ტექნიკური თვალსაზრისით, გადაწყვეტილებების უმრავლესობა საერთაშორისო ურთიერთობებში მიიღება უფრო მეტად გაურკვევლობის პირობებში, ვიდრე რისკის ქვეშ" (Levy, 1992, pp. 293, 296).

თუ ანალიტიკოსი დაუთმობს დროსა და ენერგიას გადაწყვეტილების მიმღების მიერ არჩევანის გაკეთებისას სიტუაციაში აღქმული კონკრეტული ათვლის წერტილის ზუსტად დადგენას, პერსპექტივების თეორიის მისადაგება მოგებასთან და წაგებასთან მიმართებაში კონკრეტული მოვლენების ანალიზის ან პროგნოზირებისათვის, მაშინ იგი შესრულებადი ამოცანაა, მიუხედავად მისთვის თანმდევი კომპლექსურობისა.

#### **4.3 სამთავრობო პოლიტიკა**

ჩემს კვლევაში გამოყენებულ მესამე მოდელს წარმოადგენს **სამთავრობო პოლიტიკა**, რომელსაც თავიდან 1971 წელს ელისონმა **სამთავრობო (ბიუროკრატიული) პოლიტიკა** უწოდა, ხოლო მოგვიანებით 1999 წელს ზელიკოვთან ერთად ახალი ფორმულირება გაუკეთა



(Allison, 1971) (Allison & Zelikow, 1999). სამთავრობო პოლიტიკის მოდელს განსაკუთრებული ადგილი უკავია FPDM-ში, რადგან იგი სწავლობს და დიდ ყურადღებას ანიჭებს გადაწყვეტილების საკვანძო მიმღებებს შორის მიმდინარე ბიუროკრატიულ ბრძოლებს, რაც სამთავრობო გადაწყვეტილებებში კრიტიკულ ფაქტორად "ბრძოლისა და კამათის" ("pulling and hauling") მოსაზრებას ეფუძნება. სამთავრობო პოლიტიკის მოდელის გამოყენებისას ანალიტიკოსი არსებითად ცდილობს ერთიანი აქტორის (სუვერენული სახელმწიფოს მთავრობა) მრავალ შიდა აქტორებად (მთავრობის მაღალჩინოსნები) "დაშლას", რითაც რეალისტური თეორიების ტრადიციულ კონცეფციებს შორდება.

ორ მოდელს განსხვავებს, თუ რომელი დონის მაღალჩინოსნების გაანალიზება ხდება. **სამთავრობო პოლიტიკის** ყურადღების საგანია მინისტრების/მდივნების დონის გადაწყვეტილების მიმღებთა კონფლიქტზე (მათ ელისონი "ბელადებს" უწოდებს) და ამ შემთხვევაში გადამწყვეტ ფაქტორებს წარმოადგენს ინდივიდუალური აქტორების პირადი ინტერესები და ეროვნული ინტერესის საკუთარი გააზრება "მთავრობის მოქმედების პოლიტიკის შედეგის სახით" (Allison, 1971, p. 162). **ბიუროკრატიული პოლიტიკა**, მეორე მხრივ, ეხება ქვედა დონის ბიუროკრატების დაპირისპირებებს სამინისტროების/დეპარტამენტების ფარგლებში (მათ ელისონი "ინდიელებს" უწოდებს). ვინაიდან საშუალო დონის ბიუროკრატია უფრო დიდ როლს თამაშობს სამინისტროების/დეპარტამენტების ყოველდღიური ოპერაციების ტექნიკურ საკითხებში და მისი როლი მინიმალურია ომისა და მშვიდობის შესახებ მაღალი დონის გადაწყვეტილებების მიღებაში, ჩემი კვლევისათვის სამთავრობო პოლიტიკის მოდელის არჩევა გასაგები და ლოგიკურია.

მის საწყის ნაშრომში ელისონი, ხოლო მოგვიანებით ელისონი და ზელიკოვი ამტკიცებდნენ, რომ ინდივიდუალური აქტორის გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული უპირატესობები იმართება იმ ორგანიზაციის ინტერესებით, რომელსაც ისინი წარმოადგენენ (ელისონის ცნობილი გამოთქმის მიხედვით, "რა პოზიციაზე დგახარ, დამოკიდებულია იმაზე, თუ სად ზიხარ (Allison, 1971, p. 176)). სხვა სიტყვებით, ელისონისა და ზელიკოვის პარადიგმის მიხედვით და მტკიცებით, ნებისმიერი მთავრობის გარემოს დაცვის მინისტრი ისეთი სტრატეგიის ადვოკატირებას შეეცდება, რომელიც სუფთა და განახლებად ენერჯიას ანიჭებს უპირატესობას და მოითხოვს ტრადიციული საწვავის მოხმარების შემცირებას. ამავე დროს, ბიჩი ლოგიკური შეკითხვით უპირისპირდება ამ გამარტივებულ ხედვას, "რატომ უნდა მოუხდეს პოლიტიკურად დანიშნულ მინისტრს, რომელსაც სამომავლო კარიერული ამბიციები ამოძრავებს, თავის შეზღუდვა იმ დეპარტამენტის ან სამინისტროს ვიწრო

ბიუროკრატიული ინტერესით, რომელსაც ხელმძღვანელობს?" ამ შეკითხვაში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით, თავის არგუმენტს იგი აშშ-ის პოლიტიკური რეალობით ასაბუთებს, "ჩვეულებრივ, ისეთი გადაწყვეტილების მიმღების უპირატესობები, როგორც არის თავდაცვის მდივანი ან სახელმწიფო მდივანი, არ უკავშირდება მისი დაქვემდებარების ქვეშ მყოფი დეპარტამენტის ვიწრო ორგანიზაციულ ინტერესს; პირიქით, იგი ხშირად ასახავს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა პარტიული ორიენტაცია, ინდივიდუალური იდეოლოგია ან კარიერული მოტივაცია" (Beach, 2012, p. 136). ამ მოსაზრების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გავლენიანი და პოლიტიკურად ამბიციური მინისტრები ან მდივნები შეეცდებიან მათ დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციის ინტერესების საკუთარ ინტერესებთან და ხედვებთან დაბალანსებას საკუთარი პირადი, იდეოლოგიური ან პარტიული დღის წესრიგის დასაწინაურებლად.

მეცნიერების მიერ სამთავრობო და ბიუროკრატიული პოლიტიკის კრიტიკის ერთ-ერთ საკვანძო ასპექტია ის, რომ ისინი აღწერილობითი მოდელებია და არა თეორიები. ბენდორი და ჰემონდი ელისონის ბიუროკრატიული პოლიტიკის საწყის მოდელს თვლიან ზედმეტად კომპლექსურად და "უბრალოდ ძალიან მსუყედ." მათ მოდელი "სამზარეულოს ანალიტიკურ ნიჟარას" შეადარეს უამრავი ცვლადის ჩართვის გამო. ნაშრომში "ელისონის გადაწყვეტილების არსი", ისინი აღნიშნავენ, რომ "ჩანს, [ამ მოდელში] შესაძლო მნიშვნელობის მქონე არაფერი გამოირიცხება" (Bendor & Hammond, 1992). ამგვარი კრიტიკის საფუძველი შექმნა ელისონის პოსტულატმა, რომ "კონფლიქტების გადაწყვეტა სახელმწიფო მდივნის მიერ დამოკიდებულია არა მხოლოდ მის პოზიციაზე, არამედ თანამდებობაზე მყოფ მოთამაშეზეც. მოთამაშეებიც ადამიანები არიან; ადამიანებს განსხვავებული მეტაბოლიზმი აქვთ. ბიუროკრატიული პოლიტიკის ბირთვი პიროვნებაა. რამდენად ახერხებს თითოეული მის სამზარეულოში სიცხის გაძლევას, მოთამაშის ოპერირების სტილი და შიდა წრეებში პიროვნებებისა და სტილების ურთიერთშეჯახება ან წინააღმდეგობა პოლიტიკური პროცესის შეუკუმშვადი კომპონენტებია" (Allison, 1971, p. 166).

თუმცა, ბიჩი მოდელის ანალიტიკურ სარგებელს ადარებს რუკის პრაქტიკულობას და აცხადებს, რომ "კარგი რუკა დეტალებს აახლოებს ლანდშაფტის საკვანძო ელემენტებზე ფოკუსირებით, გვამლევს ეფექტიანი ნავიგაციის საშუალებას მისი მართვადობის შენარჩუნებით (Beach, 2012, p. 135). ელისონისა და ზელიკოვის ნაშრომის საფუძველზე, ბიჩი აჯამებს გამოსაკვლევ ფაქტორებს იმის ასახსნელად, თუ რატომ წარმოიშვა მოცემული

პოლიტიკა კონკრეტული პოლიტიკური თამაშის შედეგად, რისი მაგალითებიც მოცემულია ქვემოთ.

**ნახ. 4: სამთავრობო პოლიტიკის საკვანძო კომპონენტები:**

**ელისონისა და ზელიკოვის სამთავრობო პოლიტიკის მოდელის ძირითადი კომპონენტები:**

1. პოლიტიკური პროცესი წარმოადგენს პოლიტიკური ბრძოლის და არა კოორდინირებული სამთავრობო სტრატეგიის შედეგს;
2. აქტორებს საკითხების განსხვავებული აღქმა აქვთ;
3. მნიშვნელოვანია უპირატესობები, ანუ "რა პოზიციაზე დგახარ, დამოკიდებულია იმაზე, თუ სად ზიხარ", თუმცა არის განსხვავებები "ბელადებსა" და "ინდიელებს" შორის;
4. აქტორებისა და სხვა მონაწილეთა შედარებითი ძალაუფლება დამოკიდებულია გამოყენებულ "მოქმედების არხზე"

წყარო: (Beach, 2012)

სამთავრობო პოლიტიკის ერთ-ერთ საკვანძო კონცეფციას წარმოადგენს "მოქმედების არხები." ჰადსონი მარტივი ენით გადმოსცემს ამ ტერმინს, "ვინც დიდ ბიუროკრატიულ ორგანიზაციაში მუშაობს, იცის, რომ ეფექტურ მოთამაშედ დარჩენისთვის აუცილებელია სამოქმედო არხების ცოდნა - ვინ და სად უნდა ნახოს, რა უნდა გააკეთოს, რომ რაიმე მოხდეს." (Hudson, 2014, p. 102) მართვის დემოკრატიულ წყობაში, მოქმედების არხების კონცეფცია ორმხრივი მოძრაობის გზაა. იგი ეხება მთავრობის მეთაურებსაც, რომლებმაც სულ მცირე კონსულტაცია უნდა გაიარონ მთავრობის წევრებთან და მათი მხარდაჭერა მოიპოვონ მათი სპეციალიზაციის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე, აგრეთვე "ბელადებსაც", რომლებიც უნდა აცნობიერებდნენ, რა ნაბიჯებია გადასადგმელი სასურველი შედეგის მისაღებად.

ბიჩი გვამლევს ამ მოდელის მთლიანობაში კარგ დახასიათებას, "კარგი იქნება, სამთავრობო პოლიტიკის მოდელი წარმოვიდგინოთ ჩარჩოდ შემთხვევის აღწერილობითი კვლევის ჩასატარებლად, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული შემთხვევისათვის დასასმელი შეკითხვების კომპლექსს." (Beach, 2012, p. 138) ამ თეორიული მოდელის აღწერილობითი ბუნება განსაკუთრებით სასარგებლოა ისეთი შემთხვევების ასახსნელად, რომლებიც წარმოიშვა მთავრობის საკვანძო წევრების დაპირისპირების შედეგად.

**დასკვნები და რეკომენდაციები**

ამ ახსნითი კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ძირითადი პროცესებისა და რონალდ რეიგანისა და ჯორჯ ჰ. უ. ბუშის ადმინისტრაციების დროს 1981 წლის იანვრიდან 1993 წლამდე ძალის გამოყენების შემთხვევების დროს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის და მისი ხელმძღვანელობის როლის თეორიული გამოკვლევა. ამის მისაღწევად, გამოვიკვლიე, რამდენად იცვლებოდა სახელმწიფო დეპარტამენტის როლი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უცხოეთში ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც მერყეობს ტრადიციული დიპლომატიიდან და პოლიტიკის ფორმულირებიდან აშშ-ის მიერ უცხოეთში ძალის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში უშუალო მონაწილეობამდე.

ანალიზის შედეგად, მე ვვარაუდობ, რომ 1980-იანი წლების დასაწყისში, სახელმწიფო დეპარტამენტი უფრო აქტიური და ინტერვენციულიც კი იყო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ უცხოეთში ძალის გამოყენების შემთხვევებში (სხვადასხვა მიზეზითა და ხარისხით), რადგან აღმასრულებელ ხელისუფლებაში საგარეო პოლიტიკაზე მომუშავე ყველაზე ძლიერ რგოლს წარმოადგენდა, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან, თავდაცვის დეპარტამენტთან, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსთან და გაერთიანებული შტატების სარდლობასთან შედარებით. რატომ? "ვიეტნამის სინდრომმა", როგორც ამ ფენომენს დღეს ვუწოდებთ, ინსტიტუციურად მიმიმედ იმოქმედა სამხედროებზე, შეამცირა საზოგადოებაში მათი პოპულარობა და ფაქტობრივად ნებისმიერ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობის სურვილი დააკარგვინა; 1970-იან წლების მეორე ნახევარში კონგრესის ცსს-სთან კონფრონტაციამ ცსს-ს ფარულ სამხედრო ოპერაციებზე კონგრესის მიერ შეზღუდვების დაწესება გამოიწვია; 1973 წელს მიღებულმა სამხედრო უფლებამოსილების რეზოლუციამ კი შეზღუდა აშშ-ის უცხოეთში სამხედრო კონფლიქტებში ჩართვის პრეზიდენტის ძალაუფლება. ზემოაღნიშნულმა შეზღუდა თავდაცვის დეპარტამენტისა და სადაზვერვო თემის მიერ 1980-იანი წლების დასაწყისისთვის საგარეო პოლიტიკის ფორმულირებასა და ძალის გამოყენებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში აქტიური და გაბედული როლის შესრულების უნარი.

სახელმწიფო დეპარტამენტის ლიდერის ან მხარდაჭერის ფუნქციის საჩვენებლად, ჩემს კვლევაში განხილული და გაანალიზებულია აშშ-ის მიერ ძალის გამოყენების შემთხვევები რონალდ რეიგანისა და ჯორჯ ჰ. უ. ბუშის პრეზიდენტობის დროს. ყველა შემთხვევა განეკუთვნება 1982-დან 1991 წლამდე დროის მონაკვეთს. ძალის გამოყენების ჩემს მიერ

შესწავლილი შემთხვევებია: (1) აშშ-ის საზღვაო ქვეითების განთავსება ლიბანში მრავალეროვნული ძალების შემადგენლობაში 1982-1984 წწ.; (2) სამხედრო შეჭრა გრენადაზე 1983 წ.; (3) ობიექტების დაბომბვა ლიბიაში 1986 წ.; (4) სამხედრო შეჭრა პანამაში 1989 წ.; და (5) სპარსეთის ყურის ომი 1991 წ.

აშშ-ის ორი თანმიმდევრული ადმინისტრაციის მიერ ძალის გამოყენების ამ ხუთი შემთხვევის ანალიზისათვის გამოვიყენე თვისებრივი კვლევის მეთოდები, კონკრეტულად საგარეო პოლიტიკის ანალიზის კარგად ჩამოყალიბებული და ტესტირებული თეორიები/ მოდელები, ახსნითი უნარის განსხვავებული ხარისხითა და ღირებულებით. რაციონალური აქტორის მოდელი, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის სკოლას ეფუძნება; პერსპექტივების თეორია, რომელიც კროს-დისციპლინურია თავისი ბუნებით და მისი მისადაგება შესაძლებელია ნებისმიერი სიტუაციისადმი, სადაც კრიტიკული რისკის საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ხდება; და სამთავრობო პოლიტიკა (ან სამთავრობო პოლიტიკის მოდელი), რომელიც საგარეო პოლიტიკის ანალიზის დამახასიათებელ მოდელად ითვლება და კონკრეტული ადმინისტრაციის ფარგლებში ძალაუფლებისთვის ბრძოლის ანალიზს ეყრდნობა. ზოგადად სასარგებლოა პრეზიდენტის ლიდერის სხვადასხვა სტილისა და მათი დახასიათებების მოკლე აღწერილობა, აგრეთვე განხილულია იმ სახელმწიფო მდივნების ლიდერის სტილი, რომლებიც რეიგანისა და ბუშის ადმინისტრაციაში მსახურობდნენ.

ჩემს კვლევაში გამოყენებული სამი თეორიიდან/მოდელიდან მხოლოდ პერსპექტივების თეორია გვხვდება ხუთივე შემთხვევის ანალიზში, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან ეს თეორია საუკეთესოდ ავლენს თავს რისკის შემცველი კატეგორიების არჩევანთან, როდესაც აქტორს უწევს ისეთი გადაწყვეტილების მიღება და მოვლენებზე რეაგირება, რომლებსაც იგი დანაკარგის სიბრტყეში გადაჰყავს, ხოლო აქტორი კი ცდილობს გზის მოძიებას, რომ დაბრუნდეს სულ მცირე სტატუს-კვოს პოზიციაზე, ან, უფრო უკეთესი, მოგების სიბრტყეში. რაციონალური აქტორის მოდელი გვხვდება სულ მცირე ნაწილობრივ ან გარკვეული დაშვებებით ოთხი შემთხვევის ახსნაში, ხოლო სამთავრობო პოლიტიკა კი სასარგებლოა სამი შემთხვევის ახსნაში - ყველა მათგანი უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების პროცესს რეიგანის ადმინისტრაციაში. იგი გამოირჩეოდა ზოგჯერ ღია, ზოგჯერ კი ფარული კონფრონტაციებით მის ორ საკვანძო წევრს შორის, სახელმწიფო მდივანს, ჯორჯ შულცსა და თავდაცვის მდივანს, კასპარ უაინბერგერს შორის.

IR/FPA-ს რეალურ დროში ანალიზზე მომუშავე მკვლევარებს რეკომენდაციის სახით შევთავაზებდი პირველ რიგში ლიდერის წარსულის, მისი აზროვნების ხასიათის, რწმენის სისტემის (თუ ასეთი არის) პროფესიონალთა გუნდის მონაწილეობით გამოკვლევას. მხოლოდ ამის შემდეგ ღირს ანალიზის დაწყება, რომელიც სასურველია, იყოს მრავალფორმატიანი და მრავალგანზომილებიანი, ანუ, ვთქვათ რამ-ისა და პერსპექტივების თეორიის ან ერთ-ერთი კოგნიტური მოდელისა და სამთავრობო პოლიტიკის გამოყენებით. ანალიზის საუკეთესო სცენარის შემთხვევაშიც, მუდამ დარჩება გარკვეული ხარისხის უცნობი, რომელიც ხშირად განზრახ გამოყენებული "ომის ნისლის" შედეგია, რადგან ძალის გამოყენების შესახებ საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილება არის და მუდამ იყო ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ ყველაზე მეტად დაცული საიდუმლო.

### წარმოდგენილ კვლევაზე პუბლიკაციების სია

1. Tsiklauri G. (2016). Operation Urgent Fury: The Role of American Diplomacy in the U.S. Invasion of Grenada, *Journal in Humanities*, Vol 5, No 1, pp. 59-62
2. Tsiklauri G. (2017). Reagan's Coercive Diplomacy: A Case of U.S. Air Strikes against Libya, *Journal in Humanities*, Vol 6, No 1, 63-67
3. Tsiklauri G. (2018). The State Department as a Foreign Policy Actor in 1945-1980. *11th Annual International Conference on American Studies, Tbilisi*, pp.106-112
4. Tsiklauri G. (2018). A Brief Overview of the Foreign Policy Decision Making Team in the Reagan Administration, *Journal in Humanities*, Vol 7, No 2, pp. 55-57
5. Tsiklauri G. (2019). Applying Foreign Policy Decision-Making Theories/Models to the Decision on the Use of Force by the U.S. in Panama in 1989. *International Journal of Recent Scientific Research*, IJRSR-12646/2019, Vol. 10, Issue 02 (B), pp.30302-30306